

CCBE-ის პრეზიდენტი მარია სლაზაკი ესწრება „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონფერენციას.



# CCBE Info

## N° 47

### 2015 წლის ნოემბერი

**სამძიმარი - ევროპის ადვოკატთა დღე - ევროპის კომისია: ტრენინგი - „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მე-10-ე საიუბილეო წელი - საგადასახადო საკითხების კომიტეტი ამტკიცებს გადასახადებთან დაკავშირებულ საბოლოო მოხსენებას - მრავალასპექტიანი ინიციატივა ტრანსსასაზღვრო ვიდეო კონფერენციის გასაუმჯობესებლად - „ადვოკატთა**

### სამძიმარი

CCBE გულწრფელად უსამძიმრებს 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების დროს დაღუპულთა ოჯახებს. ასევე, სამძიმარს ვუცხდებთ ბატაკლანის თეატრში დაღუპული „პარიზის ადვოკატთა ორგანიზაციის“ ახალგაზრდა ადვოკატის ბატონი ვალენტინ რიბეს კოლეგებსა და ოჯახს წევრებს.

ეს თავდასხმები ძირს უთხრიან დემოკრატიის ძირითად პრინციპებს საფრანგეთსა და ევროპაში. CCBE ერთგულად ემსახურება ამ პრინციპებს და ადვოკატები ზედმიწევნით იცავენ მათ.

ამას გარდა, CCBE შეძრულია ადამიანის უფლებათა ადვოკატისა და „დიარბაქირის ადვოკატთა ასოციაციის“ პრეზიდენტის ტაჰირ ელჩის მკვლელობით, რომელიც 28 ნოემბერს ცეცხლსასროლი იარაღით იქნა მოკლული თურქეთში. თანადგომას ვუცხადებთ მის კოლეგებსა და ოჯახს წევრებს.

### ევროპის ადვოკატთა დღე

შეგახსენებთ, რომ „ევროპის ადვოკატთა დღე“ აღინიშნება 2015 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. დღის თემა: „გამოხატვის თავისუფლება“.

უახლოეს მომავალში ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება CCBE-ის პრეზიდენტი მარია სლაზაკთან ჩაწერილი ვიდეო ინტერვიუ და ინტერვიუს სტენოგრამა. ჩვენს ყველაწევრს ვურჩევთ გამოიყენოს ეს მასალა „ევროპის ადვოკატთა

დღის“ (ეად) მხარდასაჭერად. სახელმძღვანელო და პოსტერი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [www.ccbbe.eu/lawyersday](http://www.ccbbe.eu/lawyersday).

### ევროპის კომისია: ტრენინგი

29 ოქტომბერს ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა „ევროპის სასამართლო ტრენინგის მოხსენება 2015“. მოხსენება, პირველად, შეიცავს ანალიტიკურ ცხრილს წევრი ქვეყნების ადვოკატებისთვის.

კომისიამ, ასევე, გამოაქვეყნა “რჩევა ტრენინგის ორგანიზატორებისთვის“. პუბლიკაცია განკუთვნილია მათთვის, ვინც ატარებს ტრენინგებს იურიდიული პროფესიებისთვის. გამოცემა იძლევა რჩევას სატრენინგო

მოქმედებების საუკეთესო კუთხით მოსამზადებლად, განსაზოცილებლად და გამოსაყენებლად, მათ შორის, კონკრეტულ მაგალითებს. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ სატრენინგო საქმიანობაზე, თუმცა, ბევრი რეკომენდაცია, ასევე, ეხება ტრენინგის იურისპრუდენციის სხვა სფეროებში ჩატარების საკითხებსაც. ეს პუბლიკაცია შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ კომისიის [ვებგვერდიდან](http://www.ccbbe.eu/lawyersday).

## „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მე-10-ე საიუბილეო წლისთავი

2015 წლის 7 ნოემბერს CCBE პრეზიდენტი მარია სლაზაკი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მე-10-ე საიუბილეო წლისადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო თბილისში. კონფერენციის თემა გახლდათ: „ადვოკატთა პროფესიის თავისუფლება და ინსტიტუციონალური გარანტიები“. გაიმართა ნაყოფიერი დისკუსია იმ პრობლემების გარშემო, რომელთაც ქართველი ადვოკატები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში. დისკუსიის დროს გამოიკვეთა

საჭიროება, რომ ეს საკითხები გამუდმებით წამოიჭრას, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. კონფერენციის ფარგლებში, მარია სლაზაკი დაჯილდოვდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ განვითარებასა და ადვოკატთა უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის. მარია სლაზაკი არის პირველი უცხოელი ადვოკატი, რომელსაც „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ორდენი გადაეცა.



CCBE მარია სლაზაკი იღებს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენს.

## საგადასახადო საკითხთა კომიტეტი ამტკიცებს გადასახადებთან დაკავშირებულ

2015 წლის 26 ოქტომბერს ევროპის პარლამენტის საგანგებო საგადასახადო საკითხთა კომიტეტმა დაამტკიცა მოხსენება „საგადასახადო რეგულაციების და სხვა მეთოდით ან ეფექტურობით მსგავსი ზომების მიღების შესახებ“.

აღნიშნული მოხსენების რედაქციამ სერიოზულად შეაშფოთა CCBE-ის წევრები, ისევე, როგორც საგადასახადო საკითხების კომიტეტის მოხსენების პროექტმა, რომლის შესახებაც CCBE-მ უკვე გააკეთა კომენტარი სექტემბერში. განსაკუთრებულ შემოთქმას იწვევს [პარაგრაფი 163](#). 163-ე პარაგრაფში წარმოდგენილმა წინადადებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შედეგები, რომლებიც არ შეესაბამება ადვოკატების ძირითად პრინციპებს და ვალდებულებებს, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის და პროფესიული საიდუმლოების პრინციპებს. სანქციები, როგორებიცაა ადვოკატის პროფესიული ლიცენზიის ანულირება,

გადადის საადვოკატო და იურიდიული საზოგადოებების ან მათი მარეგულირებელი ორგანოების კომპეტენციაში. წინადადებები, ასევე, ეხება ფუნდამენტურ უფლებებსაც, მათ შორის, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმციას, დუმილის უფლებას, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემას და სამართლებრივი სიცხადის საკითხებს.

CCBE-მ თავისი შენიშვნები გადაუგზავნა პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელებს, მანამ, სანამ ევროპის პარლამენტი დაამტკიცებდა საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ მოხსენებას 2015 წლის ნოემბრის ბოლოს დაგეგმილ პლენარულ სხდომაზე.

საგადასახადო საკითხების შესახებ მოხსენება [შეგიძლიათ იხილოთ აქ](#)

## მრავალსაპექტიანი ინიციატივა ტრანსსასაზღვრო ვიდეო კონფერენციის

5 ნოემბერს პირველი შეხვედრა გაიმართა ვენაში ტრანსსასაზღვრო ვიდეო კონფერენციის მრავალსაპექტიანი ინიციატივის პროექტის დაწყების აღსანიშნად. პროექტის კოორდინაციას ახორციელებს ავსტრიის იუსტიციის სამინისტრო. პროექტის მიზანი გახლავთ ტრანსსასაზღვრო ვიდეო კონფერენციების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა, რათა

წევრ ქვეყნებსა და ევროპულ დონეზე ელექტრონული იუსტიციის სისტემების საყოველთაო ფუნქციონალურობა გაუმჯობესდეს.

პროექტში CCBE გამოიყენებს სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში დაგროვილ ცოდნას, რომ მოხდეს იმ საქმეების იდენტიფიცირება, რომლებიც სარგებელს მიიღებენ

ტრანსსასაზღვრო ვიდეო კონფერენციების საშუალებით, ასევე, მხარეთა პროცედურულ უფლებებთან და მოვალეობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. გაცნობით შეხვედრაზე განიხილეს საყოველთაო სამუშაო გეგმა, ასევე, პროექტით გათვალისწინებული მომავალი ღონისძიებები.

## „ადვოკატთა უზენაესი საბჭოს“ დაარსებიდან 90-ე წლისთავი

13 და 14 ნოემბერს ბატონი გემელი დაესწრო „ადვოკატთა უზენაესი საბჭოს“ დაარსებიდან 90-ე წლისთავის ღონისძიებას სოფიაში და წარმოთქვა მისალოცი სიტყვა.



ბატონი გემელი ესწრება სოფიაში

## მომავალი ღონისძიებები

10-11 დეკემბერი - პარიზის ადვოკატთა ასოციაცია - იურიდიული წლის გახსნა, პარიზი.

11-12 დეკემბერი - ლიტვის ადვოკატის დღე, ვილნიუსი